ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

1 თებერვალი, 2013

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მარიამ კუბლაშვილი -კომისიის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

მაკა ჯაფარიძე- წევრი

ლევან ჩხეიძე -წევრი

აკაკი ჩარგეიშვილი - წევრი

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

დღის წესრიგი:

1. ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით აუდიტორული ფირმების შერჩევა;

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მარიამ კუბლაშვილმა და წარადგინა ასოციაციის აუდიტის ჩატარების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ასოციაციაში შემოსული აუდიტორული კომპანების განცხადებები: MN-აუდიტი, შპს "ფინანსური მართვის ჯგუფი", "ბენე-აუდიტი", შპს. Audit Consulting Group", "პრიმა აუდიტი" , KPMG აუდიტორული კომპანია და სხვა.

წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი განაცხადების შესახებ. აუდიტორული კომპანიების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა კომპანიების კვალიფიკაცია და სტატუსი, მომსახურების შეღვათიანი ფასი, ასევე, აუდიტორის მზადყოფნა აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარმოადგინოს

შესაბამისი რეკომენდაციები ასოციაციის შემდგომი საქმიანობისთვის და ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს აუდიტორული კონსულტაციები დამატებითი საზღაურის გარეშე.

წევრებმა დაადგინეს, რომ განხილული განაცხადებიდან, ყველა ზემოთაღნიშნულ პირობებთან სრულ შესაბამისობაში იყო კომპანია "MN-აუდიტი"–ს მიერ შეთავაზებული პაკეტი აუდიტორული მომსახურების შესახებ.

წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება აუდიტორული ფირმის „MN-აუდიტი"-ს შერჩევის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს 2008 წლის ბოლო ოთხი (4) თვის, 2009-2010-2011,2012 წლების ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებას. აღნიშნული მომსახურების გაწევის საფასურად განსაზღვრულია 7 (შვიდი ათასი) ლარი. „MN-აუდიტი"-ს მიერ ადვოკატთა ასოციაციის აუდიტორული შემოწმების დაწყების თარიღად განისაზღვროს 11 (თერთმეტი თებერვალი).

კომისიის წევრთა შეთანხმების მიხედვით, სარევიზიო კომისიის შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 6 თებერვალს.

სხდომის თავმჯდომარე- მარიამ კუბლაშვილი

სხდომის მდივანი - მაკა ჯაფარიძე

წევრი - აკაკი ჩარგეიშვილი

წევრი - ანა ხარაიშვილი

წევრი – ლევან ჩხეიძე